# რა ჩანს მაღლიდან?

ნელ-ნელა ივსება თვითმფრინავის სალონი. სტიუარდესები სასიამოვნო ღიმილს არ იშურებენ მგზავრებისთვის. ცოტაც, და ცაში ავიჭრებით. ისევ მოუსვენარი შფოთვა მავსებს და მღელვარება წუთებთან ერთად ებრძვის მოლოდინს. აჰა, ნაცნობი ბიძგიც და მიწას მოვწყდით. როცა ყოფნა-არყოფნის შიში ისევ ჩაძვრება ცნობიერიდან ქვეცნობიერში, როცა მიწიერი საზრუნავი სადღაც ქვევით დარჩება, გრძნობ, რომ ახლა სულ სხვა ჯგუფის წევრი ხარ, უხილავი ძაფები იბმება დანარჩენ მგზავრებს შორის და უპირობოდ ენდობი საჰაერო ხომალდის მეთაურს. სხეულის ყველა უჯრედი, უძრავი და მტკიცე ძვლოვანი უჯრედებიდან უაღრესად მგრძნობიარე და ფხიზელ ნეირონებამდე, მინდობილია მფრინავის გამოცდილებას. მან უნდა დაძლიოს ყველა დაბრკოლება, უსწრაფესად გაერკვეს ათობით მოციმციმე ხელსაწყოს ჩვენებაში, მიიღოს სწორი და ერთადერთი გადაწყვეტილება, მიაღწიოს მიზანს და მეხსიერებაში კიდევ ერთი ამოცანის პასუხი შეინახოს.

ცხოვრება, როგორც მარადიული მასწავლებელი, მუდამ გვიტარებს თავის გაკვეთილებს და გვთავაზობს დიდ ან პატარა, რთულ ან იოლ ამოცანებს, მუდმივად გვიწვევს სწორი ამონახსნის ძიებაში და დაუღალავად გვწვრთნის. ჩვენ კი, მარადიულ მოსწავლეებს, ისღა დაგვრჩენია, სწორი დასკვნები გამოვიტანოთ, ერთმანეთს დავეხმაროთ და უკეთ მოვემზადოთ მომავალი გამოწვევისთვის.

მათ, ვისაც ცხოვრებამ ნამდვილი საკლასო ოთახი და მოლოდინით აღსავსე გოგო-ბიჭები არგუნა, გამოცდილებამ დიდი მოთმინება და მუდმივი ძიების სურვილი მოუტანა. დღეები დღეებს მისდევს, ეპიზოდები ერთმანეთს ენაცვლება და იქცევა ქცევების, სურვილების, პრობლემების, წარმატებების, ინტერესების, თვისებების ერთობლიობად, რომელსაც გასათავისებლად თუ გასაზიარებლად დახარისხება და დალაგება ესაჭიროება. თითოეული შემთხვევა, ან თუნდაც მოგონილი ისტორია, შეიძლება იქცეს სიტუაციურ ამოცანად, რომელიც ნაცნობია სასკოლო ცხოვრების მთავარი გმირების - მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. ეს სიტუაციები შეიძლება ვაქციოთ მსჯელობის, დისკუსიის, პრობლემების აღქმისა და გადაჭრის საშუალებებად. აქ არსად სახელდება გვარები და სახელები, თუმცა ვინმემ შეიძლება ამოიცნოს კონკრეტული შემთხვევა, ან პიროვნება. რამოდენიმე მათგანი მეც შევარჩიე და გავაერთიანე ბლოკებად. გთავაზობთ ბარათებს „შურისმაძიებლები“, მათი გაცნობის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ პრობლემა, იმსჯელონ მისი გადაჭრის და თავიდან აცილების შესაძლო გზებზე.

## საათის ხმა

- ბევრი აცდენდა დღეს?
- ისე რა... მოგიყვე დღევანდელი ამბავიც? კიდევ რაღაც მოვიფიქრეთ!!!!
- საწყალი... ისევ აყვირეთ?!.... მე მეცოდება....
- თავის თავს დააბრალოს, რაღაცნაირი ქალია...
- თავიდანვე გააგიჟეთ?
- არა, გაკვეთილის ახსნის დროს. დაფასთან რომ მიტრიალდებოდა, მარტო მაშინ ვიწყებდით წიკწიკს, ჯერ ერთმა დაიწყო, მერე მთელი კლასი აჰყვა, რომ მოტრიალდებოდა, მაშინვე ვჩუმდებოდით.
- კარგი დრო გიტარებიათ... ისე, ის რომ ყოფილიყო სკოლაში, ბიჭები ამდენს ვერ გაბედავდნენ.
- ჰო… რა ვიცი... ხუმრობა მაგანაც არ იცის, ეგეც რაღაცნაირია.

## ნადავლი

ჯერ ყველაფერი მიალაგეს, ნაძვის ხე და სათამაშოები მოიტანეს, ძალიან ლამაზად და გემოვნებით მორთეს კლასი. მეორე დღეს, გაკვეთილების შემდეგ რომ შევედი დასალაგებლად, იქაურობა ვეღარ ვიცანი, სათამაშოები მოფანტული და დალეწილი იყო, წიგნების კუთხე არეული და დახეული ფურცლებით სავსე. მესამე დღეს ნაძვის ხე აღარ დამხვდა კუთხეში, ეტყობა დამრიგებელმა დასაჯა. ახლა კი შევდივარ და სხვა კლასის სათამაშოები და ნაძვის ხე დგას. მე რა უნდა ვქნა? მარტო სისუფთავის დაცვა მევალება...

**მშობლის თვალით დანახული**

- იცით, ვერ დაგეთანხმებით. როგორ თუ არ იცის, მე ყველა გაკვეთილს ვიბარებ, სისტემატურად ვამოწმებ დავალებებს. არ ვიცი აქ რა ემართება. ეტყობა თქვენ ვერ დააინტერესეთ გაკვეთილზე. დიახ, მან ძალიან კარგად იცის, რომ მხოლოდ სწავლა აბარია და სხვა არაფერი. არა, არც ინტერნეტში არ კარგავს ბევრ დროს. იცით, როგორ აქებდნენ ძველ სკოლაში? მათემატიკაში ყველაზე ძლიერი იყო, მარტო ის ხსნიდა კლასში რთულ ამოცანებს. გაითვალისწინეთ, რომ ჩვენ მხოლოდ მისი მაღალი შედეგები გვაინტერესებს, პრესტიჟულ უმაღლესშიც უნდა ჩააბაროს და საზღვარგარეთაც გაიაროს სტაჟირება. მეტი დრო დაუთმეთ და თქვენ თვითონაც დაინახავთ მის ნიჭს. დიახ, მე მუდმივად უნდა ვიყო საქმის კურსში, ველი თქვენს ზარებს.

გთავაზობთ ბარათებს „საგნობრივი ბლოკი“, მოსწავლეებს ევალებათ, გაანალიზონ კონკრეტული საკითხი და სწორი პასუხი დააფიქსირონ.

**სისხლის გადასხმა**

პატარა გოგონა ავადაა, მას ანემია დაუდგინდა. მისი სისხლის მახასიათებელი მესამე ჯგუფი და რეზუს უარყოფითი სისხლია. ექიმებმა მშობლებს გოგონასთვის სისხლის გადასხმა ურჩიეს, თუმცა ოჯახმა ვერაფრით შეარჩია დონორი. მამას მესამე დადებითი რეზუსის სისხლი აქვს, დედას პირველი უარყოფითი და ფეხმძიმედაა, ძმას პირველი დადებითი.

**გამელოტების საფრთხე**

ქალს რომელსაც ჰყავს მელოტი მამა და ძმა, გათხოვილია მელოტ მამაკაცზე და ჰყავს ვაჟი და გოგონა, რომელსაც ნაადრევი სიმელოტის ნიშნები აქვს. ემუქრება თუ არა გამელოტება მის შვილიშვილ ვაჟს, თუ გოგონას მიათხოვებს ჯანმრთელ მამაკაცს?

გთავაზობთ ბარათებს „დაუსრულებელი ისტორიები“, მოსწავლეებმა უნდა გამოკვეთონ პრობლემა,იმსჯელონ მის გადაჭრის გზებზე და თავად დაასრულონ ისტორია.

## მამასთან

ვიცი, უკვე აღარ შერიგდებიან... საბოლოოდ ჩამოვბარგდით ბებოსთან. მორჩა, აღარ გავიგონებ გაუთავებელ კამათს, მთვრალი მამის ხმამაღალ ყვირილს და უაზრო ლანძღვა-გინებას. აღარ შევიგრძნობ იმ საძაგელ სუნს, მთელ ოთახს რომ ავსებდა მამის გვიან დაბრუნების შემდეგ. არა, ადრე კარგად იყო ყველაფერი, მამასაც სამსახური ჰქონდა და სახლში ყოფნაც მიხაროდა... ახლა, კი... დედა ძალიან შეიცვალა, ხან სულ ჩუმადაა და ვერ მამჩნევს, ხან კი გიჟივით მიკრავს გულში, ბებო კი სულ ოხრავს და ოხრავს... გუშინ შემთხვევით მათი საუბარი გავიგონე, მამა საავადმყოფოში დაუწვენიათ, იმდენად დაზიანებული აქვს ღვიძლი, არ იციან, გადარჩება თუ არა. მას მერე ვერ ვისვენებ... მგონი წასვლა მინდა...

## მირჩიეთ, როგორ მოვიქცე...

ფსიქოლოგი - როგორ ხართ?

მასწავლებელი - გმადლობთ, კარგად. თქვენ როგორ ბრძანდებით?

ფსიქოლოგი - მეც კარგად, გმადლობთ. რამ შეგაწუხათ?

მასწავლებელი - არ ვიცი, პირდაპირ როგორ დავიწყო... სექტემბრის ბოლოს ჩვენ სკოლაში ახალი მოსწავლე გადმოვიდა. მოწესრიგებული, ჭკვიანი, კეთილსინდისიერი ბიჭია. დავალებებს ყოველთვის კარგად ასრულებს, მაგრამ ერთი უცნაურობა შევამჩნიე. გაკვეთილს არ ყვება და დაფასთანაც არ გამოდის. ერთი-ორჯერ დავაძალე, მაგრამ ისე გაოფლიანდა და ქოშინი დაეწყო, რომ მაშინვე დავსვი, მივხვდი, რომ შიში დაეუფლა. მას შემდეგ ჩუმად ზის და ვხედავ, რომ ნელ-ნელა ნაკლებად ერთვება საგაკვეთილო პროცესში. იქნებ, მირჩიოთ რამე...

## წერილი შვილიშვილს

გამარჯობა, ბაბუ! ნეტავ იცოდე, როგორ მომენატრე... აქ კარგად ვარ მოწყობილი: ოთახი დიდი და ნათელია, რაც მჭირდება, ყველაფერი მაქვს მომვლელებიც ყურადღებას არ მაკლებენ, თავშესაფრის ეზოშიც ჩავდივარ, ჭადრაკის მოყვარულებიც ვნახე, მაგრამ... ერთი ადგილი მომწონს ძალიან, დავჯდები ხოლმე და ვფიქრობ ჩემს წარსულსა და მომავალზე, ვიხსენებ, როგორ ვსეირნობდით პარკში, როგორ ვუყურებდით ვარსკვლავებს ღამღამობით ერთად, როგორ ვგულშემატკივრობდით ჩვენს ნაკრებს ფეხბურთის ყურებისას, როგორ ვწუხდით, როცა დედამ ნება არ დაგრთო, სახლში ლეკვი მოგეყვანა, როგორ გაცილებდით ჯერ საბავშვო ბაღში, მერე კი სკოლაში მთელი ოჯახი... ვიხსენებ და ვფიქრობ, რატომ აღმოვჩნდი მარტო?... რატომ აღმოვჩნდი ყველასთვის ზედმეტი ადრე მზრუნველი ბაბუა?... ჩემნაირი აქ ბევრია, ზოგი ჯანმრთელი, ზოგი უძლური, ზოგი ასე თუ ისე

ახალგაზრდა, ზოგიც კი ღრმად მოხუცი. ისინი ჩემნაირად თავშესაფარის პერსონალის ამარა არიან მიტოვებულნი, ოჯახებისგან მოწყვეტილი.

აღწერილი სიტუაციები მხოლოდ ნაწილია იმ რეალობისა, რასაც ყოველდღიური ცხოვრება ფართო სპექტრით გვიშლის. თუ მსგავს შემთხვევებს გადავამუშავებთ, გავაერთიანებთ აზრობრივად და შევთავაზებთ მოსწავლეებს, ამით საშუალებას მივცემთ მათ, დაინახონ პრობლემა, ეძიონ პრობლემის მიზეზები და მოსალოდნელი შედეგები, აღმოაჩინონ კანონზომიებები ერთი შეხედვით განსხვავებულ საკითხებთან, აღმოფხვრან შეუთავსებლობა, გადააფასონ ღირებულებები, გააკეთონ არჩევანი, იაზროვნონ კრიტიკულად, უფრო მომზადებული შეხვდნენ ცხოვრების რთულ გამოწვევებს. სიტუაციები არ არის მიჯაჭვული კონკრეტულ საგნობრივ ჯგუფს, იგი ორიენტირებულია მოსწავლის უნარებსა და დამოკიდებულებებზე, პიროვნულ ღირსებებზე. სასურველია, გავითვალისწინოთ, რომ ეს ე. წ. „ქეისები“ - მსგავსი სიტუაციური ამოცანების ერთობლიობა გარკვეულ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს:

√ სიტუაცია უნდა იწვევდეს ინტერესს ასაკის მიხედვით და მოითხოვდეს აზრის გამოხატვის თავისუფლებას;

√ არ უნდა იყოს ნეგატიური ინფორმაციით გადატვირთული, თუმცა მკაფიოდ უნდა გამოსახავდეს პრობლემას;

√ პრობლემა უნდა რეალური ცხოვრებიდან და იძლეოდეს გადაწყვეტის საშუალებას.

თუ ჩვენი მოსწავლეები ისწავლიან ლაღად და თავისუფლად გამოხატონ საკუთარი აზრი,თუ ისინი შეამჩნევენ საკუთარს და გაითვალისწინებენ სხვის შეცდომებს, თუ ისინი მოიფიქრებენ გადალახონ წინააღმდეგობები და თავი დაიცვან მოსალოდნელი საფრთხეებისაგან, თუ ისინი დაიცავენ სხვათა ინტერესებს, როგორც საკუთარს, მაშინ...

ჩვენც „შეგვიძლია დავინახოთ, რა სრულქმნილი, რა გონიერი, რა ოსტატობის მფლობელი ქმნილებები ვართ, ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ თავისუფლები! ჩვენ შეგვიძლია ვისწავლოთ ფრენა!“

თვითმფრინავი ნელ-ნელა ეშვება. უკვე გამოიხსნა შასი, ცოტაც და... ნაცნობი ბიძგი... გამოცდილმა მფრინავმა ვირტუოზული ოსტატობით შეახო საჰაერო ხომალდი ასაფრენ ბილიკს. ვგრძნობ, შფოთვა სადღაც მიიპარება და ახლა მიწიერი საზრუნავი იწყებს ქვეცნობიერიდან ცნობიერში გადმობარგებას. იქ, ჩვეულ ადგილას, ჩვეულ ჯგუფში ცხოვრების ახალი გაკვეთილები მელოდება.

ირმა ავალიანი